№ 132. 26 ივნისი, პარასკევი. 1866–1881 26 ივნისი, პარასკევი. № 132.

**რედაქცია**

გალავნის პროსპექტზედ, ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადების**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივის ასოთ ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

**ნახევარი წლის ხელის-მოწერა**

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ცალკე, ღირს — ხუთი მანეთი

**ივერია**

ცალკე, ღირს — სამი მანეთი

ერთად „დროება“ და „ივერია“ 7 მან.

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში — აგენტთან ბ. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

უმდაბლესად ვსთხოვთ ყველას, ვინც კი რამე იცოდეს ან გაგონებით, ან წერილობით სოლომონ ლეონიძის (მეფე ერეკლეს მდივნის) შესახებ, დაგვავალოს და ის ცნობები „დროების“ რედაქციაში გამოგვიგზავნოს.

აკაკი.

## ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 24 ივნისს. ედინბურღის პრინცმა თაყვანი სცა პეტრე-პავლეს სობოროში მიცვალებულ ხელმწიფისა და იმის მეუღლის საფლავებს.

**ხარკოვი**, 23 ივნისს. კრივოი როგიდამ იწერებიან, რომ იქ მოსულან ფრანცუზის ინჟინერები, ტეხნიკოსები და მუშები მადნებიდამ რკინის გზის გასაყვანად.

**ოდესსა**, 23 ივნისს. ხანკოუდამ (ჩინეთიდამ) მოვიდა აქ, გამბურღის ცეცხლის გემი „*Feronia*“, რომელმანც მოიტანა 55,000 ფუთი ჩაი. ეს ჩაი სულ მოსკოვში გაიგზავნა.

**ლონდონი**, 23 ივნისს. აქაურ ოსმალოს ელჩმა მუხურუს-ფაშამ ტელეგრამმა მისწერა ხონთქარს, რომ მითხად-ფაშის სიკვდილით დასჯის გადაწყვეტამ მალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპაშიო. ასე შორს არ უნდა წასულიყო ხონთქარიო.

საზოგადოებათა პალატამ დაამტკიცა მეშვიდე და მერვე მუხლი ირლანდიის სამიწა-წყლო კანონისა.

**პარიჟი**, 23 ივნისს. გამბეტას გაზეთში „*Republique Française*“-ში დაბეჭდილია სტატია სულთანის წინააღმდეგ, რომლის ავტორი წინასწარმეტყველებს, რომ ხონთქრის მოქმედება ტრიპოლში პოლიტიკურ საქმეებს არევსო.

დეპუტატთა პალატამ უარ-ჰყო მადიო-დე-მონჟოს წინადადება, რომ რომის პაპის სასახლესთან (ვატიკანთან) საფრანგეთის ელჩის ადგილი გაუქმდესო.

**პარიჟი**, 24 ივნისს. აქ მოვიდნენ დღეს გრაფი ლორის-მელიქოვი და სკობელევი.

**ლონდონი**, 24 ივნისს. ყანდაარიდამ (ავღანიდამ) ოფიციალური ამბავი მოვიდა, რომ კირშიკში და ყანდაარში ემირის აფიცრებს შუა განხეთქილება ჩამოვარდაო.

**ათინა**, 24 ივნისს. საბერძნეთის ჯარები ქ. არტს დაიჭერენ.

## ახალი ამბები.

გუშინ-წინ ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა სახალხო განათლების მინისტრი ბარონ ა. პ. ნიკოლაი და გუშინ დილითვე წავიდა თავის მამულში ბეთანიაში.

* * *

გაზეთს პორიადოკში მოყვანილია შემდეგი საინტერესო სტატისტიკური ცნობანი ჩვენი მხრის სასწავლებლების შესახებ:

„მთელს კავკასიაში ითვლება სულ 5,470,070 მცხოვრებელი; ამ ხალხისათვის არის გამართული 3,111 საშუალო და პირველ-დაწყებითი სასწავლებელი; მაშასადამე ყოველს 1,758 სულზე თითო სასწავლებელი მოდის.

„საშუალ სასწავლებლები არიან: 4 სავაჟო და 5 საქალებო გიმნაზიები, 3 რეალური სასწავლებელი, 1 საოსტატო ინსტიტუტი და მეორე საოსტატო სემინარია; პირველ-დაწყებითი სასწავლებლების რიცხვი 3,087.

„კავკასიის სამოსწავლო მაზრის ყველა სასწავლებლებში სწავლობს სულ 79,746 ყმაწვილი; მაშა სადამე 69 მცხოვრებზე 1 მოსწავლე ყოფილა. ამას რომ სასულიერო და სამხედრო სასწავლებლებში მოსწავლე ყმაწვილების რიცხვი (12,281) მოუმატოთ, გამოვა, რომ კავკასიაში სწავლობს სულ — 92,027 სული, ე. ი. 60 თითო კაცი.

„1878 წლის ანგარიშით, ქართველების რიცხვი კავკასიაში არის 850,000, ქართველები სწავლობენ სულ 8,369, მაშა სადამე, ასში ერთი მოსწავლეც არ მოდის. ასს შაგირდზე სწავლობს: რუსი — 35, თათარი — 18, სომეხი — 18, მთიული — 11 და ქართველი — 10.

„სწავლა-განათლების საქმეზედ კავკასიაში იხარჯება წელიწადში მხოლოთ — 822,246 მან., ე. ი. $15\frac{1}{3}$ კაპეიკი თითო სულზე!

„ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ კავკასიაში ბევრი სხვა-და-სხვა ტომის ხალხი სცხოვრებსო და ამიტომ მიდის ასე სუსტად ხალხის განათლების საქმეო, ეს აბრკოლებს განათლების გავრცელებასაო. ეს ერთობ ძველი და უსაფუძვლო საბუთია. თუ თვით ფილიპის კუნძულებზე, სადაც 53 სხვა-და-სხვა ტომის და ენის ხალხები ცხოვრობენ, თვით იქ მოახერხებს ამ დაბრკოლების მოსპობა და სადაც ყოველ 33 სულზე ერთი მოსწავლეა, ნუ თუ „მრავალ-ენიანობას“ ამისთანა შავბედითი გავლენა უნდა ჰქონდეს კავკასიაში?!

„ჩვენის აზრით, ფილიპის კუნძულების წარმატება ამ მხრით იქიდამ წარმოსდგება, რომ იმ კუნძულების ხალხის პირველ-დაწყებითი სწავლას თავიანთ სამშობლო ენაზე აძლევენ და კავკასიის სასწავლებლებში — კი უცხო ენაზე ასწავლიან შაგირდებს.

„ამასთან ისიც მოიფიქრეთ, რომ კავკასიის სამხედრო უწყებისათვის ჩვენი ხაზინა დიდ-ძალ ფულს ხარჯავს და მთავრობა იძულებულია, რომ იქ 200,000 კაცი ჯარი იყოლიოს. ამ ქვეყნის დამშვიდება და კეთილ-გზაზე დაყენება, ჯარებით კი არა, უფრო იაფი და უბრალო საშვალებით შეიძლებოდა: — სწავლისა და განათლების გავრცელებით. ამისათვის საჭიროა, რომ მთავრობას უფრო მომეტებული ნდობა ჰქონდეს ადგი-

---

## „დროების“ ფელეტონი, 26 ივნისს.

### ბათომის ამბები

ბათუმში ელვასავით მოეფინა ღენ.-მაიორის კამაროვის გამოცვლის ამბავი. იმ დღიდგანვე იმათ, ვისაც ამისგან დაუვიწყარი წყალობა და მფარველობა ახსოვდათ, გამართეს ერთმანეთში ხელის-მოწერით ფულის მოკრეფა, რომ უკანასკნელი პატივისცემის ნიშნად სადილი გაემართათ იმისათვის და თავიანთი მადლობა და მწუხარება გამოეცხადათ.

ბევრი ქალი და კაცი დაესწრო ამ გამოსამშვიდებელს სადილზე, ბევრი გრძნობით სავსე სიტყვებიც გააგონეს თავიანთ „რეჩებში“, რომლებსაც ისე გრძნობაზე მოეყვანა ბ-ნი კამაროვი, რომ ცრემლებიც გადმოსცვენია და უთქვამს: „ვსწუხვარ, რომ ხალხმა კარგათ ვერ გამიცნოვო...“

ისე დავალიანებული იყო ჩინოვნიკობა ბ-ნი კ. მაროვისაგან, რომ მეორე სადილისთვისაც ხალხში დაიწყეს ხელის-მოწერით ფულის მოგროვება, ხალხის სახელითაც უნდოდათ გაემართათ სადილი, მაგრამ საუბედუროთ, ვერ ნახეს იმდენი ხელის-მომწერლები მცხოვრებლებში, რომ ის ფული სადილის გამართვას ჰყოფნოდა; მაგრამ მაინც გამოჩნდნენ ისეთი გულ-მოწყალები, რომელთაც იმ ღამეს, როდესაც მიდიოდა, ზღვის-პირას გაუმართეს ვახშამი, რომელზედაც არც ერთი მცხოვრებთავანი არ ყოფილან. შემდგომ ვახშმისა რამოდენიმე სიტყვა უთხრა ბ-მა ზრევემ, რომელშიაც თავისი ამხანაგობრივი და მეგობრული გრძნობა გამოხატა, მშვიდობიანათ ყოფნა და მგზავრობა დაულოცა. თავის უკანასკნელს გამოსათხოვარს სიტყვაში ბ-მა კამაროვმა გამოსთქვა, რომ კარგის შთაბეჭდილებით მიდის ბათომიდამ და როდისმე კიდევ ნახავს ის ბათომს. (რასაკვირველია, თავისი მამულების დასახედავათ იტყოდა ამას..)

იმ დღიდგან, რა დღიდგანაც ბათომში გავარდა ხმა, რომ ახალი ღუბერნატორი ინიშნება ღ.-მ. სმეკალოვიო, ყველანი მოუთმენელათ ელოდნენ მის მოსვლას, რადგანაც ხალხი დაჯერებული იყო, რომ ბ-ნი სმეკალოვი რა ნაირი მართველიც უნდა ყოფილიყო, მაინც დიდი ცვლილება მოხდებოდა ბათომში. ამისათვის, როცა სთქვეს, რომ დღეს სმეკალოვი მოდისო, იმ დღეს მთელი ბათომის მცხოვრებლები არ მოსცილებიან ზღვის ნაპირს. ბათომის პოლიციაც არ იყო ამ დღისთვის გულ-ხელ დაკრეფილი: იმ ქუჩებში, სადაც პოლიციის მსახურები არასოდეს არ უნახავთ, იმ დღეს იქ მუშებით დაიარებოდნენ და ერთ წმენდა-გვაში იყვნენ, რომ ქუჩები მაინც სუფთა დაეხვედრებინათ...

როცა გამოჩნდა შორიდამ ხომალდი „იაზონი“, ყველას უჩვეულებრივო მღელვარება ეტყობოდა სახეზე. კარგი ფიზიონომისტი ბევრ რასმე ამოიკითხავდა იმათ სახეზე; ბევრის სახეზე მწუხარების ალმურს და ბევრის სახეზე დაჩაგრულ ღიმილს და მხიარულებას...

მოვიდა „იაზონიც“. გემში გამოეცხადნენ ქალაქ-მთავარი ბ-ნი ბერსი და პრისტავი ბ-ნი შურული; შემდგომ თითონაც გამოვიდა, მაგრამ ხალხის სიმრავლისაგან და ამათგან ამდგარის მტვერისაგან არაფერი სჩანდა. სჩანდა მხოლოდ ის, რომ ხალხი ალტაცებით მიეგება, ზოგი ფეხებში, ზოგი თვალებში უყურებდა, ამით უნდოდათ გაეგოთ იმისი ხასიათი...

ლობრივ და უფრო მომეტებულის, თვით-მოქმედების უფლება მისცეს ამ საზოგადოებას სწავლა-განათლების საქმეში.“

არ შეიძლება არ დაეთანხმოს კაცი ამ გაზეთის გონიერ სიტყვას...

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშნვა იმ პასხუზე, რომელიც ქუთაისის რკინის გზის სტანციის უფროსის თანაშემწემ და კასსირმა ბ. ნოდიამ მისცა „დროების“ 129 №-ში „მგზავრის“ წერილს:

„ამ უკანასკნელს დროს ბევრი საჩივრები მისდის ჩვენი რკინის გზის მმართველს პასსაჟირებისაგან იმის თაობაზედ, რომ სტანციებზედ ბილეთის გამყიდავი კასსირები მეტს ფულს ართმევენ იმათ, ხურდას ნაკლებს უბრუნებენ და სხვ. ამ საჩივრებზედ მმართველი გამოძიებას ნიშნავს, რომლის შედეგი ყოველთვის ის არის, რომ ბბ. კასსირები მართლები გამოდიან. რათა? ნუ თუ პასაჟირები ტყვილს იგონებენ? არა, სულ მართალია იმათი საჩივარი; მაგრამ ბბ. კასსირების მდგომარეობა ისეთია, რომ შეუძლებელია თავი არ გაიმართლონ.

„აი როგორ:

„გამოძიების დროს პირველი პირი, რომელსაც უნდა ჰკითხონ ამის შესახებ, არის სტანციის უფროსი, რომელიც, ბილეთების გაყიდვის შემდევ, ფულს იბარებს კასსირისაგან. ეს ამბობს, ბილეთების გაყიდვის შემდეგ, ფული კასსაში უმეტ-ნაკლებო აღმოჩნდაო. მმართველიც, წაიკითხავს ამას თუ არა, ზედ წააწერს: „საჩივარი დარჩეს უყურადღებოთ“—და მორჩა!

„როგორ სასაცილო არ არის ამნაირი წესები?! რომელს კასსირსაც ფულის გამორჩენის განზრახვა აქვს, ფულს კასსაში გაუშვებს, თუ იმწამს ჯიბეში იკრავს?

„ბ. ნოდია ამბობს: „მეტის ფულების უმთავრეს კასსაში გაგზავნისათვის, ისრე აგებს კასსირი პასუხს, როგორც ნაკლებისათვისაო“. აბა რა სათქმელია? განა კასსაში გასაგზავნათ გამორჩება კასსირი ფულს?!

„რაც შეეხება თითონ ნოდიას, გაბედვით ვიტყვი, რომ ის ამას არ იკადრებდა, და თუ იმ დღეს, როდესაც „მგზავრმა“ ბილეთი იყიდა, იმის კასსაში მეტი ფული არ აღმოჩნდა, ეს იმისთვის, რომ ბ. ნოდიას, ალბათ, სხვა პასაჟირისათვის ნაკლები გამოურთმევია.

* * *

ჩვენ გვატყობინებენ, რომ გუშინ ნაშუადღევს გოლოვინის პროსპექტზე, ბაღთან მონავალა ბიჭი, რომელიც ჰყიდდა თაიგულებს; ამ დროს მივარდნილა პოლიციელი და აღუკრძალავს მისთვის თაიგულებით ვაჭრობა; ამ აყალ-მაყალს წასწრებია ერთი მეფაიტონე, რომელსაც თავის ფაიტონიდამ შეუტევებია პოლიციელისათვის და თანაც დაუმატებია: „ბაზარში ჯიბგირებისათვის თავი მიგინებებია და საწყალ ბიჭებს თაიგულის გაყიდვას უშლიო, გირჩევ ბაზარში ინავარდო დაჭერაში უფრო სარგებლობას მოიტანო“! ამ სიტყვებზედ, პოლიციელი ჰტაკებია მეფაიტონეს და, უშველოს ღმერთმა, ვილაცები რომ არ მიშველოდენ და არ წაეყვანათ, რამდენიმე პოლიციელები გაძაგრას უპირებდნენო თურმე.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ფოთი**, 22 ივნისს. მთელი ერთისთვის უწვიმრობის და 29 გრადუსის სიცხის შემდეგ, ძლივს ეღირსნენ ფოთელები წუხელის წვიმასა, რომელიც დღესაც შეუწყნარებლივ წვიმს. სწორეთ რომ იტყვიან სულზედ მოესწროვო, ამათი საქმე იყო ეს წვიმა. საჩრდილოები აქვს ფოთს: „პარკი“ და სხვა ადგილები, შეიძლება სულის მობრუნება; მხოლოთ საფიქრებელი ის იყო, რომ დედამიწა გახმა, მთელი ქუჩები, ისრეც ოღრო-ჩოღრო, დაღრმავდა, რადგანაც აქ ქვის ნატამალს ვერა ნახავთ და სულ ქვიშა ჰყრია ქუჩებში; ავარდებოდა მაღლა მტვერი, ცას ველარ გაარჩევდით და წინ რომ ხუთ ნაბიჯზედ კაცი მდგარიყო, ზედ წააწყდებოდა. ვისაც კი ნახავდით, გეგონებოდათ თითქო ფქვილის ანბრებში უგორავნიათო.

როგორც იყო ჯერ-ჯერობით ამ შეწუხებას გადურჩა ხალხი, მაგრამ კიდევ ჩქარა უნდა მოელოდნენ ფოთელები იმ ძოვლენას, რადგანაც დიდი ზაფხული ჯერ წინ უძევთ და ზღვის ქარიც შხირათ დაჰქროლავს ხოლმე და აშკარათ ვიცით, რომ ამ ქვიშიან და მტვერით სავსე ქუჩებს ხრეშს არივინ დააყრის, რომ მტვერისა აღარ ეშინოდეთ.

ფოთში აგერ სამი წელიწადია, ქალაქს გარეთ, მდინარე რიონზედ აქაურ მცხოვრებლებს ჩინოვნიკს ი. ანცოვს და ს. ლამბაროვს დაუწყიათ თუჯის წისქვილის და ხის სახერხი მაშინების გაკეთება. ჩაუშვიათ წყალში ერთი თუჯის ჩარხი, რომელიც წყალს ამოიღებს ტრიალში საკმაოდ ბევრსა. როგორც დამარწმუნეს ამ საქმის მცოდნე პირებმა, სამი ათასი თუმანია ჯერ დახარჯული ამის გამართვაზედ. თითონ ჩარხი თუჯის სვეტებზედ ჰკიდია ასაწევ-დასაწევით. სიმაღლით იქნება ხუთ საჟენზედ მეტი და სიგანითაც იქამდინ განიერია, რომ სამ საჟენიან ქუჩაში თავისუფლათ ძლივს გაიმართება და ოც-და-შვიდი უზარ-მაზარი კიბე-კიბე ფრთები აქვს სულ რკინისა. იფიქრეთ, ამ ღონიერ ჩარხზედ თითო ფრთას რომ ორი სამ-სამ თუნგიანი ვედრასავე გაკეთებული თუჯის ქვაბები შეაბან, რამდენი წყალი უნდა ამოიღოს მინუტში. მგონი, რომ არამც თუ ფოთში, გზა რომ ჰქონდეს, ბათომსაც მისცემს წყალსა.

როცა ამისთანა სასარგებლო მოწყობილობა არის ფოთში, დღეს რისთვის უნდა იყოს ასრე მტვერისგან შეწუხებული ქალაქი? ადვილათ შეიძლება ქალაქის პატრონებმა მოიფიქრონ და მოელაპარაკონ ანცოვს და ლამბაროვს, რომ წყალი მისცენ, თუ ყველგან არა, საუკეთესო ქუჩებში მაინც გამოატარონ, სადაც ხალხის მოძრაობა არის და ყველა თავის კარმიდამოს, როცა საჭირო იქნება, მორწყავს. მეორე მხრით დიდის ხნიდგანვე ჩაფუყებს გაკეთებულს ხავსიან ბუდეებს გასწმენდს წყალი და იფიქრეთ თუ ქალაქისათვის რა სასარგებლო იქნება.

ამის თაობას არც დიდი დრო უნდა, არც დიდი ფული, რომ ქალაქს უნდოდეს.

ეს ჩარხი ისეთ ნაირად არის გამართული, რომ ქალაქსაც გამოადგება და არც წისქვილის და ხის ხერხვის მუშაობას შეაყენებს. ამისთვის ბ. ანცოვი და ლამბაროვიც მოვალენი არიან, რაკი ეს გამართულობა სხვა ჰაზრით გაუკეთებიათ, ქალაქს ძრიელ არ დაამუნათონ და ფეხი არ დააჭირონ, მცირედის ფასით მისცენ წყალი, რომლითაც ამათი კეთილ კაცობის უკვდავი სახელი დარჩება ფოთში.

ა. თულაევი.

# რუსეთი

—

გაზეთი „გოლოსი“ სწერს, რომ იმ ცხრა მილიონს, რომელიც დანიშნულია გლეხების ადგილების გამოსასყიდ ფასის შესამცირებლად, კიდევ მიემატება სამი მილიონიო.

— პეტერბურღის სამოქალაქო რჩევაში 2 ივნისამდის შემოსულა სულ ხელის-მოწერით ფულად 141,567 მან. და 68 კაპ. ეკკლესიის ასაშენებლად იმ ალაგას, სადაც იყო დაჭრილი მიცვალებული ხელმწიფე.

— რამოდენიმე ერობას შეუმუშავებიათ დაწვრილებით მოსაზრება სკოლების მმართველობის ახალი წესზედ წაყვანისა, რომლითაც უნდათ, რომ ამ საქმეში დაახლოებითი მონაწილეობა მიიღოს თვითონ ერობამ და ამას გარდა, მოაშორონ ერთმანეთს სკოლის პედაგოგიური და თვით სახარჯო საქმეები.

— პრუსსიის სამზღვარიდამ სწერენ გაზეთს *Rigasche Zeitung*-ს: „აქ მუდამ დღე მოდიან ებრაელები, რომელნიც მიემგზავრებიან ინგლისისა და ამერიკისაკენ. ყოველ საღამოს

---

პირველ ნახვაზევე ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამას არ უყვარს საქმეებში ხუმრობა... მეორე დღეს ყველა უწყების და ხალხის წარმომადგენლები გამოეცხადნენ; ყველა ზდილობიანათ და სიამოვნებით მიიღო, და უთხრა: „იმედი მაქვსო, თქვენ ყველანი დამეხმარებით ჩემი მოვალეობის აღსრულებაში, მსურს, რომ მთავრობა და ხალხი ერთმანეთის მადრიელნი იყვნენო“.

შემდგომ ხალხის მიღებისა, ყველა სასამართლოები დაიარა და ჭორათ ამბობენ, რომ, თუმც ჯერ არაფერს ამბობს, მაგრამ ბევრი არ მოსწონებიაო.

დღეს მთელ ბათომში პირველი სალაპარაკო ხალხში იმისი მოქმედება და იმისი სიტყვებია. ხალხი დარწმუნებით ამბობს: ეს, რომ თავის დროზედ გამოეგზავნათ, ხალხის უმრავლესობა არ გადასახლდებოდაო.

დიდის მთავრის მიხაილ ნიკოლოზის-ძის გამოსასალმებლად ახალმა ღუბერნატორმა მოიხმო მთელი ბათომის მაზრის დეპუტაცია. დანიშნულ დღისათვის ბათომი და ზღვის პირები განათებული იყო, სადაც უცდიდა მოხმობილი დეპუტაცია და მთელი ხალხი.

რადგანაც ღამით მობრძანდა, ამისათვის იმ დღეს არავინ ინახულა; მეორე დღეს დილით ინება გამობრძანება წირვის მოსასმენად ბერძნების ეკკლესიაში და შემდგომ დაბრუნდა გემს „ელბრუსზე“, სადაც მიირთვა საუზმე. ამ დროს მოვიდა „ლივადიით“ დ. მ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე და ინახულა „ელბრუზში“ თავის ძმა, და შემდგომ წაბრძანდა ბათომის ბატარეების (თათრებისაგან დარჩენილი სიმაგრეების) დასათვალიერებლათ. დ. მ. მიხაილ ნიკოლოზის-ძე გამობრძანდა ხმელეთზე და ინახულა ბათომის მცხოვრებლების წარმომადგენელი ბეგები, მაზრის დეპუტაცია, მალაკნების დეპუტაცია, ვაჭრები და შემდგომ წავიდა დასათვალიერებლათ საავათმყოფოების და ახალი პატარა ქალაქისა, რომელსაც „ვაენნი მოროდოკს“ ეძახიან და სადაც რკინის გზაა გაყვანილი მეიჯარადრის ბ. ბახმეტიევისაგან.

პირველათ მიუახლოვდა ბათომის ბეგებს, „გამარჯობა“ უთხრა და შემდგომ ერთმა ბეგთაგანმა ხუსეინ ბეგ-ქან-ოღლიმ მოახსენა ორიოდე სიტყვა, რომელშიაც გამოხატა იმის მობრძანების ამბით მათი მხიარულება და გამოსალმებით კი დაღონება და მოწყენა.

ყოველივე ეს სიტყვები ყურადღებით მოისმინა დ. მ. და მადლობის შემდგომ უბრძანა, რომ ძრიელ მოხარული ვარ თქვენზე რუსის ეპოლეტებს ვხედავ; იმედი მაქვს თქვენ მაგალითის მიმცემი იქმნებით ყველა დანარჩენებისაო.

ქობულეთის დეპუტაციას სიტყვის თქმა დაასწრო დიდმა მთავარმა და საყვედური უთხრა, რომ იმათში ძველებურათ კაცის-კვლისაგან და ავაზაკობისაგან ხელს არ იღებენ. დანარჩენი დეპუტაციებიც გამოეთხოვენ და დ. მ. დაბრუნდა „ლივადიაში“ და, რამოდენიმე საათის შემდგომ, ამ გემმა მოაშორა კავკასიის ნაპირებს.

დიდი მთავრის გამოსამშვიდებლათ ართვინის ეპისკოპოსი ზაქარიანიც ჩამოვიდა, რომელსაც ამბობენ, სასულიერო სემინარიის გახსნას დაჰპირდაო.

(დასასრული შემდეგ)

რუსეთიდამ მოსულს ორთქლით მატარებელს მოჰყავს ხოლმე ებრაელების აუარებელი რიცხვი, და ყველა ესენი რუსეთიდამ მიმავალნი არიან. როგორც ეტყობა, რუსეთის მთავრობა არც კი ჰსცდილობს მიილოს საშუალება იმათ შესაჩერებლათ; უმრავლესობას აქვს სამზღვარ გარეთის პაშპორტები, და ვინ არ იცის, რომ დღემდის რა გაჭირვებით იძლეოდნენ რუსეთში ამ გვარ პაშპორტებს?“

— მომავალ წელს ფინლანდიაში უნდა მოხდეს ადგილობრივ ყრილობის (სეიმის) სხდომა. ამის თაობაზე და, საზოგადოთ, ფინლანდიის მდგომარეობის შესახებ, გაზეთი „მოსკოვის ტელეგრაფი“ ამბობს:

„ამ ჟამად, ახალი კანონ-პროექტის მალით, ჩვენს მთავრობას ახეში აქვს გაავრცელოს ფინლანდიის კონსტიტუციის უფლება, ე. ი. მიენიჭოს მის წარმომადგენელთ რჩევას ისეთივე უფლება კანონ-მდებლობისა, როგორიც აქვს კონსტიტუციურ სახელმწიფოების პარლამენტებს დასავლეთ ევროპაში. ფინლანდია, რასაკვირველია, რუსეთისთვის მაგალითი არ არის. ამის ისტორია და ბედი სულ სხვა იყო, ის მხოლოდ 1812 წლიდამ არის რუსეთის მმართველობის ქვეშ. ამასთანავე მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა ზოგიერთ პირობებით, რომელნიც კიდევაც მოჰყავდა სისრულეში რუსეთის მთავრობას. ამას გარდა ფინლანდია ხომ რუსეთის მხარე არ არის, სადაც სხვა ხალხია, სხვა ენაა, სადაც განსაკუთრებითი განათლებაა, ჩვეულება, კანონები, რჯული, ფული და სხვ. ამისათვის რუსებს ძრიელ უკვირს, რომ ხედვენ ჩვენ ქვეშევრდომ მხარეს ჩვენზედ უფრო თავისუფალს, უფრო მეტად დაცულს ადმინისტრაციის უწესოებისაგან, სადაც კანონების გამოცვლა და დამატება არასოდეს არ მოხდება ხოლმე უიმისოთ, რომ ხალხის წარმომადგენლებს არ დაეკითხონ, და ამასთანავე, ეს მხარე ჰსცხოვრობს მშვიდობიანათ და სულ უკეთეს მდგომარეობაში შედის, ფულები ბლომათ აქვს, ხალხის განათლება მშვენივრად იწევს წინ და ჯაჯის მოყვარე ხალხი ერთგულია თავის ხელმწიფისა“.

# უცხოეთი

ბოლგარია. სოფიაში დატუსაღებულ ცანკოვს ქაღალდებში უპოვნეს გლადსტონისაგან მოწერილი ბარათი, რომელშიაც ინგლისის პირველი მინისტრი თანაგრძნობას უცხადებს მას ბოლგარიის მთავრის ალექსანდრეს გადაყენებაზე და მის მაგიერ თ. ვოგორიდესის ამორჩევაზე.

— სამზღვარ გარეთის ჟურნალ-გაზეთობაში გავრცელებული იყო ხმა, ვითომც ოსმალეთს უნდა ისარგებლოს ბოლგარიის ეხლანდელ მდგომარეობით და გაგზავნოს ჯარი ბოლგარიის დასაკავებლად.

რუსეთს, როგორც სწერენ პეტერბურღიდამ მოსკოვის ტელეგრაფს, მიწერილობა გაუგზავნია თავის წარმომადგენელთან სტამბოლში, გამოუცხადოს ოსმალეთის მთავრობას, რომ ამ გვარ მოქმედებას ოსმალეთის მხრით რუსეთი ვერ მოითმენს და ენერგიულად ეწინააღმდეგება ამ პლანის აღსრულებასო.

— 16 ივნისს მომხდარა ბოლგარიაში კენჭის-ყრა „დიდ-სახალხო რჩევისათვის“ დეპუტატების ამოსარჩევად. ათ მაზრაში ამორჩეულნი არიან მთავრობის მომხრე დეპუტატები, ხოლო ცხრა მაზრაში თანამგრძნობნი ეხლანდელ მდგომარეობისა, ე. ი. კონსტიტუციისა. ამბობენო, სწერს „გოლოსი“, რომ ამ ცხრა მაზრაში ხელმეორეთ იქმნება დანიშნული კენჭისყრაო. სამი მაზრის ამორჩევის შედეგი ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული.

# ნარევი

სარრა ბერნარი, გამოჩენილი ფრანცუზის დრამატიული აქტრისა, 15 მაისს დაბრუნდა ამერიკიდგან საფრანგეთში. კვირა დღე იყო და მთელი ჰავრის მცხოვრებნი გამოეგებნენ ამას ზღვის პირას. მრავალი დეპუტაციები და ქალაქის მოთავენი წარუდგნენ უპირველეს აქტრისას. როდესაც გემი, რომელშიაც სარრა იჯდა, მოუახლოვდა ზღვის ნაპირს, ხალხმა ერთ-ხმით შესძახა: „ღმერთმა აღდეგრძელოს სარრა! ღმერთმა აღდეგრძელოს სარრა ბერნარი!“ გადმოსვლის დროს ფეხ-ქვეშ გაუშალეს ყვავილები და ვარდის კონები. მრავალი სიტყვები იყო თქმული და სრულიადი მეფური დახვედრა იყო ამ გამოჩენილი დედა-კაცისა. ეს ამერიკაში იყო 180 დღე; ითამაშა 162-ჯელ და მიიღო 858,951 ფრანკი.

***

ცინცინატში გამოვიდა ერთი გაზეთი უსახელოთ, და ამ გვარმა უჩვეულო შემთხვევამ ისე გააოცა მცხოვრებნი ქალაქისა, რომ ხელის-მომწერნი ერთი ერთმანეთს ასწრობდნენ. შემოსავალი გაზეთისა საშინელია.

***

გასაოცრათ მოიკლა თავი ერთმა ჩინოვნიკმა ქალაქ ვილენსკში. იმან გადაასხმევინა შეშებზე ნავთი, დააწყობინა შეშები ერთი ერთმანეთზე და შუაღამისას, როდესაც ყველას ეძინათ, ავიდა ამ შეშებზე, წაუკიდა ცეცხლი და დამბაჩა იკრა. მეორე დღეს ცეცხლში მარტო იმის ძვლები და რევოლვერიდა იპოვნეს. იმის ოთახში იპოვნეს შემდეგი ბარათი: „მე ერთს საათს შემდეგ თავს მოვიკლავ და დავიწვი, დავიწვები იმიტომ, რომ ჩემი დამარხვა საჭირო არ იყოს და ამითი მომატებულათ აღარავინ შევაწუხო“.

***

ამერიკაში, მიჩიგანის შტატში, გადაცვლილა ერთი დედა-კაცი უდიდესი მთელ ქვეყანაზე. იმას ჰქონია სიმძიმე 640 გირვანქა, ანუ 16 ფუთი.

***

თან-და-თან უფრო-და-უფრო ვრცელდება განათლებულ საზოგადოებაში მოგზაურობის სიყვარული. იტალიური ალპიის კლუბი ბეჭდავს სტატისტიკურ ცნობას, თუ რამდენი მოგზაური იყო ათი წლის განმავლობაში შვეიცარიაში, სულ სხვა ქვეყნებიდგან: 1,400,000 კაცი. და კერძოობით სხვა-და-სხვა სახელმწიფოებიდგან: 700,000 გერმანიიდგან, 280,000 ინგლისიდგან, 60,000 ამერიკიდგან, 200,000 საფრანგეთიდგან, 60,000 იტალიიდგან. 70,000 რუსეთიდგან, და 30,000 სხვა დანარჩენ სახელმწიფოებიდგან. თავის მშვენიერი ბუნების მოწყალეებით შვეიცარიას დიდი და დიდი შემოსავალი აქვს სხვა ქვეყნის მოგზაურებისგან.

# განცხადებანი

თბილისის სამოქალაქო გამგეობაში, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდის, მიიღება ხელისმოწერით შესაწირავი ბავშვების თავ-შესაფარი სადგომის (პრიუტის) ასაშენებლათ ტფილისში იმპერატორის ალექსანდრე II სახელობაზედ. (3—1)

---

ინგლისის მაღაზიაში

მოსახურავი 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყებული, ფილტრები 4 მ., [illegible] შესანახავი 50 კაპ., [illegible] ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ., ლეპიოშკები და პასტილა თამბაქოს მწმარებლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვაზნები და სხვა. (20—8)

---

ჯანჯუღაზოვების მოსკოველ მოგალეების ვექილი

პ. მ. ლებედინსკი

ჰკისრულობს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების წარმოებას თფილისის სასამართლოებში და სამოსამართლო პალატაში რჩევას მუქთად აძლევს.

მთხოვნელებს მიიღებს მუდამ დღე ნაშუადღევის 5 საათიდამ 7-მდინ, შაბათსა და კვირას გარდა. ადრესსი: გალავინის პროსპ., მირიმანოვის სახლი, „საქართველოს“ სასტუმროში. (6—2)

---

იყიდება საკრავი მაშინა, ორი სალცვალით, თექვსმეტი იტალიური სხვა-და-სხვა ხმებით, დიდი კაკლის საათიანი შკაფით. ადრესი: ჩუღურეთი, ტუზოვის სახლი № 27. (3—2)

---

# ქუთაისის საადგილ-მამულო ბანქისაგან

სამმართველო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე-18 § ძალით, 28 კვირიკობის თვეს მიმდინარის 1881 წლისა, დილის თორმეტ საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის სამმართველოში (ქარავან-სარაის ქუჩა, ხარაზოვების სახლები) საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, რადგანაც მათ წესდებისამებრ ბანკის სახვედრო გარდასახადი არ შემოუტანიათ.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მეპატრონენი, იმავე წესდების მე-19 §-ის თანახმად, სრულად შეავსებენ ბანკის სახვედრო გადასახადსა და თან განცხადებათა ხარჯებს.

ქუთაისის გუბერნიის:

ქუთაისის უეზდისა:

43½ წლიანნი სესხნი:

დოდაბერიძისა, მარიამ სიმონის ასულის, კოლლეჟსკი ასსესორის მეუღლისა: სოფელსა ბაშს სახნავ-სათესი და ტყე, 46⅓ დესიატინი; თავნი ვალი 7,333 მანეთი 30 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 312 მან. 98 კაპ., სულ 7,646 მან. და 28 კაპ.

მისივე: სოფელთა ფარცხანაყანევს, ბაშს და იანეთს სახნავ-სათესი, ტყე და სათიბი, 132⅓ დესიატინი, თავნი ვალი 10,266 მ. 54 კ., შეუვსებელი გადასახადი 544 მან. 53 კ., სულ 10,811 მ. და 7 კ.

ქაჯაიასი, გიორგი ტარიელის-ძის, აზნაურისა: სოფელს ჭაგანს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 7 დესიატ. და 800 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 879 მ. 98 კ., შეუვსებელი გადასახადი 60 მან. 37 კ., სულ 940 მ. და 35 კაპ.

დოლიძისა, გრიგორი ვასილის-ძის, დიაკონისა: ქვახჭირის აგარს, სოფელს ჭოგნარს ზვარი და სახნავ-სათესი, 4 დესიატინი; თავნი ვალი 588 მ. 51 კ., შეუვსებელი გადასახადი 36 მ. 7 კ., სულ 624 მ. 58 კ.

ყანდინოვისა, ანნა ნიკოლოზის ასულის, ნადვორნი სოვეტნიკის ქალისა: სოფელთა ჭოგნარს, გოდოგანს და წინაველს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 26 დესიატ. და 600 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 2059 მან. 76 კ., შეუვსებელი გადასახადი 95 მან. 43 კ., სულ 2,155 მ. 19 კ.

ნიჟარაძისა, მიხაილ დიმიტრის-ძის, თავადისა: სოფელსა ზედამაღლაკს ეზო და სახნავ-სათესი, 18 დესიატ. და 450 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 784 მან. 75 კ., შეუვსებელი გადასახადი 44 მ. 10 კ., სულ 828 მან. 85 კ.

აგიაშვილისა, გიორგი თეიმურაზის-ძის, თავადის, გვარდიის პოროჩიკისა: ეზო, სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე, 114 დესიატ. და 1931 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 14,757 მ. 41 კ., შეუვსებელი გადასახადი 616 მან. 6 კ., სულ 15,373 მან. 47 კ.

**მიქელაძისა**, დავით ალექსანდრეს-ძის, თავადისა: სოფ. ჭყუმურს სახნავ-სათესი, 130 დესიატ. 80 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 25,579 მან. 55 კ., შეუვსებელი გადასახადი 1,293 მან. 80 კაპ., სულ 26,873 მ. 35 კ.

**კიკიანის** მეუღლისა, ანნა ფირანის ასულის, აზნაურისა: სოფ. პატრიკეთს ეზო და სახნავ-სათესი, 9 დესიატ. 695 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 688 მან. 69 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 40 მ. 9 კ. სულ 728 მ. 78 კ.

**ქუთათელაძეთა**, ევგენიის და ტარასის სოფრომის-ძეთა, აზნაურთა: დაბახონს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე, 8 დესიატ. 2050 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 1,377 მან. 34 კ., შესავსებელი გადასახადი 54 მან. 92 კაპ., სულ 1,432 მან. 26 კაპ.

**ღოღობერიძის** მეუღლისა, ქესარია ბესარიონის ასულის, თავადისა: სოფ. ზეინდარს სახნავ-სათესი, 13 დესიატ. 300 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 1,475 მან. 74 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 72 მან. 19 კაპ., სულ 1,547 მან. 93 კაპ.

**მიქელაძისა**, მელქისედეკ კონსტანტინეს-ძის, თავადისა: სოფელთა კულაშს და ოურ-წყალ-შუას ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 17 დესიატინი 1930 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 2,459 მან. 58 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 112 მან. 31 კაპ., სულ 2,571 მან. 89 კაპ.

**ღოღობერიძისა**, მიხაილ გიორგის-ძის, თავადისა: სოფელსა ამაღლებას სახნავ-სათესი, 82 დესიატინი 1200 კვადრ. საჟენი; თავნი ფული 7,893 მანეთი 80 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 250 მან. 15 კაპ., სულ 8143 მან. 95 კაპეიკი.

**იოსელიანისა**, პეტრე ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: სოფელსა წყალტუბოს ეზო, ზვარი სახნავ-სათესი და ტყე, 14 დეს. 600 კვადრატ. საჟენი; თავნი ვალი 1187 მან. 46 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 75 მან. 3 კაპ., სულ 1,262 მან. 49 კაპ.

**მიქელაძეთა**, ვალერიანის და გიორგის ბეგლარის-ძეთა, თავადთა: სოფელსა კულაშს ეზო და სახნავ-სათესი, 23 დესიატ. 1104 კვადრ. საჟ. თავნი ვალი 4650 მან. 86 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 278 მან. 88 კაპ, სულ 4,929 მან. 74 კაპ.

**ნიჟარაძისა**, მიხაილ რევაზის-ძის, თავადისა: სოფელსა ოფიშკვითს ეზო. ზვარი და სახნავ-სათესი, 3 დესიატ., თავნი ვალი 791 მან. 64 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 47 მან. 5 კაპ., სულ 838 მან 69 კაპ.

**ქორქაშვილისა**, ანნა რევაზის ასულის, კოლლეჟსკი ასესორის ქვრივისა: სოფელთა მაღლას და ოფიშკვითს სახნავ-სათესი, 25 დესიატ 89 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 694 მან. 60 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 36 მან. 94 კაპ., სულ 731 მან. 54 კაპ.

### სამ-წლიანი სესხი.

**მიქელაძისა**, ალექსანდრე ტარიელის-ძის, თავადის, პოლკოვნიკისა: სოფელსა კულაშს ეზო, ბაღი და სახნავ-სათესი: 11¼ დესიატ., თავნი ვალი 1800 მან. შეუვსებელი გადასახადი 357 მან. 54 კაპ., სულ 2,157 მან. 54 კაპ.

### 43½ წლიანი სესხნი.

### შორაპნის უეზდისა.

**სალაძისა**, ადამ ნიკოლოზის-ძის, გლეხისა: სოფელსა დილიკაურს, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 3 დესიატ. 432 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 292 მან. 49 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 36 მან. 75 კაპ., სულ 329 მან. 24 კაპეიკი.

**ჩხეიძის** მეუღლისა, მელანია ქაიხოსროს ასულის, აზნაურისა: სოფელსა ლახუნდარას ზვარი, ეზო. სახნავ-სათესი და ტყე, 26 დესიატინი; თავნი ვალი 3,911 მან. 4 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 245 მან. 19., სულ 4,156 მან. 23 კაპ.

**აბაშიძისა**, ქაიხოსრო გიორგის ძის, თავადისა: სოფელსა ლაშეს ეზო, ზვარი სიხნავ-სათესი, მიდორი და ტყე, 49 დესიატ. 250 კვადრ. საჟ., თავნი ვალი 6,886 მან. 78 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 292 მან. 88 კაპ., სულ 7,179 მან. 66 კაპ.

**ჯაჯიაშვილისა**, სინო გიორგის-ძის, აზნაურისა: სოფელსა არგვეთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 66 დესიატ. 1291 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 6,886 მან. 78 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 438 მან 63 კაპ., სულ 7,325 მან. 41 კაპ.

### რაჭის უეზდისა

**ჯაფარიძისა**, ტარიელ მერაბის-ძის, თავადისა: სოფელსა ღარს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი, 2 დესიატინა 1800 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 686 მანეთი 60 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 62 მან. 72 კაპ., სულ 749 მან. 32 კაპ.

**ქაფიანიძეებისა**: გოგინა მიქელას-ძის, პეტრე, სპირიდონ და იოსებ დავითის-ძეთა, ალექსი შიოს-ძის და მიხაილ შაქარას-ძის, გლეხთა: სოფელსა ნაკიეთს ეზოები, ზვარები, სახნავ-სათესი და სათიბი, 75 დესიატ 1404 კვადრ. საჟენი; თავნი ვალი 5,937 მან. 25 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 283 მან. 60 კაპეიკი; სულ 6,220 მან 85 კაპ.

### ლეჩხუმის უეზდისა.

**ჩიქოვანის**, ივანე ოტიას-ძის, თავადისა: სოფელთა ლასურიაშს, მახაშს და უწყერს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე, 48¾ დესიატ.; თავნი ვალი 4,904 მან. 17 კაპ., შეუვსებელი გადასახადი 268 მან. 42 კაპ., სულ 5,172 მან. 59 კაპ.

### სენაკის უეზდისა.

**მიქაძეთა**: ალექსანდრე ალექსანდრეს-ძის, რამინ და ბეჟან სიმონის-ძეთა, გიგო, სოლომონ, დიმიტრი და ანტონ ბესარიონის-ძეთა და ეკატერინა პეტრეს ასულის, თავადთა: სოფელსა ჭალადიდს სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე, 750 დესიატინა; თავნი ვალი 14,757 მან. 41 კაპ. შეუვსებელი გარდასახადი 815 მან. 87 კაპ., სულ 15,573 მან, 28 კაპ.

### ქ. ქუთაისს

### 18 7/12 წლიანნი სესხნი.

**გურიელის** მეუღლისა, ელეონორა მიხაილის ასულის, თავადისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სამზარეულოით და 1230 კვადრ. საჟ. ბაღით და ეზოით, თავნი ვალი 4425 მან. 29 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 304 მან. 97 კაპ., სულ 4730 მან. 26 კაპ.

**იოსელიანისა**, კონსტანტინე იესეს-ძის, პოდპორუჩიკისა: ორ-სართულიანი სახლი ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, 344 კვადრ. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 1104 მან. 43 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 136 მან. 12 კაპ., სულ 1240 მან. 55 კ.

**ძიუბენკოის** მეუღლისა. მარიამ პეტრეს ასულის: ორ-სართულიანი სახლი—ძირის სართული ქვითკირის, ხოლო ზედა ხისა, სამზარეულოით და 439 ოთხ-კუთხი საჟ. ეზოით; თავნი ვალი 937 მან. 25 კ.. შეუვსებელი გარდასახადი 105 მან, 84 კ. სულ 1043 მან. 9 კ.

**ალავიძეებისა**: ნიკოლოზ, ნადვორნი სოვეტნიკის და ნოშრევან კაპიტანის, ოქროპირის-ძეთა: ორ-სართულიანი სახლი—ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, 294 კვად. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 1,144 მან. 36 კ,. შეუვსებელი გარდასახადი 152 მან. 56 კ., სულ 1,296 მან. 92 კ.

**გოროնოვისა**, მიხაილ ალექსის-ძის, კოლლეჟსკი სოვეტნიკისა: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სხვა-და-სხვა მოწყობილებაებით და 1192 კვადრ. საჟ., ეზოით და ბაღით; თავნი ვალი 8,582 მან. 73 კაპ., შეუვსებელი გარდასახადი 344 მან. 32 კაპ., სულ 8,927 მან. 5 კ.

**დგებუაძისა**, ლუარსაბ ნიკოლოზის-ძის, აზნაურისა: ორი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 198 კვადრ. საჟენი ეზოით; თავნი ვალი 2,861 მან. 91 კ., შეუვსებელი გარდასახადი 218 მან. 29 კ, სულ 3080 მ. 20 კ.

**კანდელაკისა**, დომენტი სიმონის-ძის, კოლლეჟსკი სეკრეტარისა: ორ-სართულიანი ხის ქვითკირის საფუძველზე სახლი, 353 კვადრ. საჟენი მიწით; თავნი ვალი 953 მან. 64 კ., შეუვსებელი გადასახადი 118 მ. 97 კ., სულ 1,072 მ. 61 კ.

**ღოღობერიძისა**, გიორგი როსტომის-ძის, თავადისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სამზარეულოით, სამეჯინიბოით და 369 კვადრ. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 2,860 მ. 91 კ., შეუვსებელი გადასახადი 150 მან., სულ 3,010 მ. 91 კ.

**მაროჯანოვისა**, კონსტანტინე ანდრიას-ძის, შტაბს—კაპიტანისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 1800 კვად. საჟ. ბაღით და ეზოით; თავნი ვალი 2574 მან. 83 კ., შეუვსებელი გადასახადი 196 მან. 99 კაპ., სულ 2771 მან. 82 კ.

**მუსხელოვისა**, ალექსანდრე ივანეს-ძის, არტილლერიის პოლკოვნიკისა: ორ-სართულიანი სახლი—ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, სამზარეულოით და 398 კვად. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 5,721 მან. 82 კ. შეუვსებელი გადასახადი 583 მან. 57 კ. სულ 6,305 მან. 39 კ.

**ჯიშკარიანისა**, ტარიელ გიორგის-ძის, მოქალაქისა: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით და 225 კვად. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 2617 მან. 78 კ., შეუვსებელი გადასახადი 156 მან. 45 კ. სულ 2774 მ. 23 კ.

**ლენჩევსკისა**, ვლადიმირ ანტონის-ძის, ინჟინერ-პოლკოვნიკისა: ერთი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ხოლო მეორე აგრეთვე ორ-სართულიანი სახლი—ძირა სართული ქვითკირისა, ხოლო ზედა ხისა, 303 კვადრ. საჟენი ეზოით; თავნი ვალი 14,543 მ. 25 კ., შეუვსებელი გადასახადი 711 მან. 19 კ., სულ 15,254 მ. 44 კ.

### სამ-წლიანნი სესხნი.

**გაბაშვილისა**, მაქსიმ გიორგის-ძის კოლლეჟსკი ასესორისა: 2 ნაკვეთი მიწა, 2 დესიატ. და 708 კვადრ. საჟ.; თავნი ვალი 2,000 მან., შეუვსებელი გადასახადი 110 მ. 93 კ., სულ 2,110 მ. 93 კ.

**დულაძისა**, სოლომონ ნიკოლოზის-ძის, კოლლეჟსკი სეკრეტრისა: ერთი სართულიანი ხის სახლი სხვა-და-სხვა მოწყობილობაებით, 3 დესიატინი და 237 კვადრ. საჟ. ეზოით; თავნი ვალი 5,000 მ., შეუვსებელი გადასახადი 148 მ. 16 კ., სულ 5;148 მ. 16 კ.

ვაჭრობა დაიწყება ზემო-მოყვანილის თავნის ვალიდამ ზედ-დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გადასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშნვაზედ ხარჯებისა და, საზოგადოდ, ყველა იმ ფულისა, რაიცა ბანკს თვისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს. ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ—მანეთი მანეთად; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სახვედრო ფული უნდა შემოტანილ-იქმნენ ნაღდათ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლიათ გასასყიდელთა მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 24 §-ის საფუძვლით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 18 აგვისტოს მდგომარის 1881 წლისა, იმავე ბანკის სამმართველოში.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Іюня 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი